# ხელშეკრულება N69

ქ.ზუგდიდი 20 ივლისი 2017წ.

ერთი მხრივ სსიპ პროფესიული კოლეჯი "ლაკადა" მისი დირექტორის მ/შ თეანა ქუხილავას სახით ,,დამკვეთი" და მეორე მხრივ ასოციაცია „ათინათი" -„შემსრულებლი", მისი გამგეობის თავჯდომარის გია ხასიას სახით, ვდებთ ხელშეკრულებას თანამშრომლობაზე შემდეგი პირობებით:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „შემსრულებელი" დაუმზადებს და რადიოეთერში განუთავსებს „დამკვეთს" სარეკლამო რგოლს, ხოლო „დამკვეთი" აუნაზღაურებს „შემსრულებელს" ამ მომსახურების ღირებულებას. CPV - 79341000

## 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. „შემსრულებელი" იღებს ვალდებულებას 20 წმ. ხანგრძლივობის სარეკლამო რგოლი განათავსოს რადიო „ათინათის" ეთერში დღეში 10-ჯერ 20 ივლისიდან 20 სექტემბრის ჩათვლით, მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

2.2. სარეკლამო ტექსტის შინაარსზე და მართებულობაზე პასუხისმგებელია „დამკვეთი".

2.3. თუ სარეკლამო მასალა რაიმე მიზეზით არ გავა ეთერში მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკით განსაზღვრულ დროს, ,,შემსრულებელი" ვალდებულია პირველივე შესაძლებლობის შემთხვევაში განათავსოს ის შესაბამის სარეკლამო ბლოკში, ან სხვა დროს „დამკვეთთან" შეთანხმებით, დამატებითი ანაზღაურების გარეშე.

2.4. მხარეები პასუხს არ აგებენ სახელშეკრულებო ვალდებულებების ნაწილობრივ, ან მთლიან შეუსრულებლობაზე, ფორს-მაჟორული ვითარების, ან სხვა ისეთ შემთხვევაში, რომელთა განსაზღვრა წინასწარ შეუძლებელია და სცდება მხარეთა კონტროლის ფარგლებს.

2.5. ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, დამრღვევი მეორე მხარეს პირგასატეხლოს სახით გადაუხდის სახელშეკრულებო თანხის 1% -ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე

## 3. მომსახურების ღირებულება და გადახდის წესი

3.1 სარეკლამო რგოლის განთავსების ღირებულება შეადგენს თვეში 288 (ორასოთხმოცდარვა) ლარს.ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 576 ლარს

3.2 მხარეები თანხმდებიან გაწეულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დროზე, რაც ხდება შესაბამის პერიოდში მომსახურების საფასურის გადახდის საფუძველი;

3.3 მომსახურებაზე თანხის გადახდა „დამკვეთმა" უნდა განახორციელოს უნაღდო ანგარიშსწორებით, მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმრმებიდან 5(ხუთი) დღის ვადაში.

და იანინა ხ. სახელმწიფო ბიუჯეტი

## 4. სხვა პირობები

4.1 ყველა შესაძლო დანართი, ორივე მხარის მიერ შეთანხმებული და ხელმოწერილი, ძალაშია მხოლოდ ამ ხელშეკრულებასთან ერთად და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს

4.2 ნებისმიერი ცვლილება და დამატება დასაშვებია მხოლოდ წერილობითი ფორმით და ძალაში შევა მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის შემდეგ.

## 5 სადავო საკითხების გადაწყვეტა

5.1 სადავო საკითხებს მხარეები გადაწყვეტენ მოლაპარაკების გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში კი საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით

## 6 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულება ძალაშია ორივე მხარის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეებს შორის ვალდებულებების სრულად შესრულებამდე. 20.07.2017 – 20.09.2017.

6.2 მხარეების შეთანხმებით ხელშეკრულება გაგრძელდება ახალი ვადით, შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად

6.3 ხელშეკრულება მხარეებისთვის შედგენილია ორ, იდენტურ და თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

**მხარეთა რეკვიზიტები:**

შემსრულებელი:

დამკვეთი:
სსიპ პროფესიული კოლეჯი ,,ლაკადა

ასოციაცია ,,ათინათი''
ზუგდიდი, რუსთაველი №92
ს/კ 220014464
''თიბისი ბანკის'' ზუგდიდის ფილიალი
ა/ნ GE27TB7870736080100014

ს/კ 242728679

სახელმწიფო ხაზინა

გამგეობის თავჯდომარე
გია ხასია

დირექტორის მ/შ თეანა ქუხილავა